საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ია გაბედავა

კოლეგიის წევრი - არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ე. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 104/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართ /სიითი N ...../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ტ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ზ.-მა და მოითხოვა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართ. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 27 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან საერთო ახლობლის მეშვეობით 2018 წლის 28 მარტს გაიცნო დ. ტ., რომლის ხელმძღვანელი იყო ადვოკატი ვ. ტ.. ე. ზ.-ს ჰქონდა საოჯახო დავა ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე და აღნიშნული დავის მოგვარებისთვის საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ადვოკატ დ. ტ.-ს.

1.3 ადვოკატ დ. ტ.-ს რჩევით საჩივრის ავტორმა ადვოკატის სახელზე გააფორმა მინდობილობა 3 წლის ვადით და გადასცა საქმის მასალები. ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ

საქმის წარმოებისთვის 250 ლარი უნდა გადაეცა, კერძოდ, ის მხოლოდ დაეხმარებოდა ე. ზ.-ს მისი დედის დაბადების მოწმობის მიღებაში საჯარო რეესტრის მეშვეობით და „შემდეგ მიატოვებდა და არ გაუწევდა დახმარებას“.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ გადაუცია ადვოკატისთვის 250 ლარი, რადგან მისთვის არ იყო მისაღები ეს პირობა და მის სახელზე გაფორმებული მინდობილობა გააუქმა. საჩივრის ავტორი მივიდა ადვოკატ დ. ტ.-ს ოფისში, სადაც დახვდა ადვოკატი ვ. ტ., რომელსაც აცნობა, რომ ადვოკატ დ. ტ.-ს მისთვის გადასაცემი ჰქონდა საქმის მასალები, რის შემდეგაც, ვ. ტ.-მ დ. ტ.-ს სამუშაო მაგიდიდან მისგან დაუკითხავად აიღო საქმის მასალები და გადასცა ე. ზ.-ს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ დ. ტ.-ს ჰგონია, რომ მისი მაგიდიდან მასალები მან აიღო და არა ვ. ტ.-მ.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვ. ტ.-მ მას არასრული სახით გადასცა დოკუმენტები, მათ შორის საქმის მასალებს აკლდა ერთი აზომვითი ნახაზი - 170 ლარის გადახდის ქვითართან ერთად, რომელიც ადვოკატმა დ. ტ.-მ უნდა დაუბრუნოს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ტ.-მ ეთიკის კომისიაში 2018 წლის 15 აგვისტოს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2018 წლის 10 ოქტომბერს ადვოკატმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან საერთო ახლობლის მეშვეობით გაიცნო საჩივრის ავტორი ე. ზ., რომელსაც ჰქონდა საოჯახო დავა და სჭირდებოდა იურიდიული დახმარება. ადვოკატის განმარტებით, მან განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ თავისი კოლეგის თხოვნით, ანაზღაურების გარეშე გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. ადვოკატმა გარკვეულ დრომდე გაუწია იურიდიული მომსახურება საჩივრის ავტორს, მათ შორის დაუწერა განცხადებები საჯარო რეესტრში წარდგენის მიზნით, თუმცა ე. ზ.-ს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას შეექმნა პრობლემა სახელმწიფო ენის არცოდნის გამო.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დამოუკიდებლად საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის მიღება, მან განუცხადა, რომ გაეფორმებინა მის სახელზე მინდობილობა და ის გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას საჯარო რეესტრში, კერძოდ, დაეხმარებოდა მისი დედის დაბადების მოწმობის მიღების საქმეზე, რისთვისაც საჩივრის ავტორს მისთვის უნდა გადაეხადა წინასწარ 250 ლარი. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა გამოთქვა პროტესტი და უარი განაცხადა 250 ლარის გადახდაზე.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისი ოფისში არყოფნის დროს, მასთან შეთანხმებისა და ნებართვის გარეშე, თავისი სამუშაო მაგიდიდან ე. ზ.-მა აიღო თავისი საქმის მასალები და მის დაკარგულ დოკუმენტებზე ის არ ფლობს ინფორმაციას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ტ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი№ ..../ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 საჩივრის ავტორმა ე. ზ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 06 აგვისტოს.

3.1 სადაო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სრულად არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს მისთვის გადაცემული საქმის მასალები.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ტ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ") 8.15 მუხლი: „ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი...რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში..."

5.3 კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ მოპოვებული ან მის მიერ შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის დასრულებისთანავე, შეფერხების გარეშე დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს კლიენტისათვის მასზე მინდობილი დოკუმენტაციის გადაცემა, მითუმეტეს, თუ მასთან იმყოფება დოკუმენტაციების ორიგინალები, რომელთა ადვოკატის მიერ დროულად დაბრუნებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კლიენტის სამომავლო ინტერესებზე.

5.4 განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებიდან ირკვევა, საჩივრის ავტორმა 2018 წლის მარტის თვეში ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართა საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რაც ეხებოდა საოჯახო დავის მოგვარებას - ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე. ადვოკატმა დ. ტ.-მ საჩივრის ავტორს გაუწია გარკვეული საადვოკატო მომსახურება.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მისი დედის დაბადების მოწმობის მიღების საკითხში დახმარებისთვის ადვოკატმა მოსთხოვა 250 ლარი, რაც საჩივრის ავტორმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად. ადვოკატი დ. ტ. თავის ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ საჩივრის ავტორი არ ფლობს კარგად საელმწიფო ენას და შესაბამისად, მას უჭირდა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა, რის გამოც მას შესთავაზა, რომ გაეფორმებინა მის სახელზე მინდობილობა, ხარჯების ანაზღაურებისთვის გადაეცა მისთვის 250 ლარი, რის შემდგომაც, მას გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას საჯარო რეესტრთან ურთიერთობისას საჩივრის ავტორის დედის დაბადების მოწმობის მიღების საკითხზე, თუმცა აღნიშნულზე საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატ-კლიენტი საადვოკატო მომსახურების ფარგლებს განსაზღვრავენ შეთანხმების შესაბამისად. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატ დ. ტ.-ს შორის ჩამოყალიბდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუწია გარკვეული იურიდიული მომსახურება. ე. ზ.-მა ადვოკატის სახელზე 2018 წლის 28 მარტს გააფორმა მინდობილობა, თუმცა შემდგომ ადვოკატ-კლიენტი ვერ შეთანხმდნენ მომსახურების საგანზე და ანაზღაურების ოდენობაზე, რის შემდგომაც, მათ შორის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. აღნიშნული დასტურდება საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტითაც, რაც ეხება მის მიერ ადვოკატ დ. ტ.-ს სახელზე გაცემული მინდობილობის 2018 წლის 17 მაისს გაუქმებას (მინდობილობის გაუქმება; ს.ფ.03).

5.6 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატის მიერ გადაცემული საქმის მასალების არასრული სახით მისთვის დაბრუნებას, აღნიშნავს, რომ მხარეებს აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული პოზიციები აქვთ. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ მან კუთვნილი საქმის მასალები ადვოკატ დ. ტ.-სგან არ მიუღია, არამედ, ის მივიდა ადვოკატ დ. ტ.-ს ოფისში და სხვა ადვოკატმა - ვ. ტ.-მ დ. ტ.-ს სამუშაო მაგიდიდან, მისი ნებართვის გარეშე აიღო საქმის მასალები და გადასცა მას არასრული სახით - აკლდა აზომვითი ნახაზი, ქვითართან ერთად. ადვოკატი დ. ტ. ადასტურებს, რომ ის არ იმყოფებოდა ოფისში, როდესაც მასთან შეუთანხმებლად, მისი სამუშაო მაგიდიდან წაიღო საჩივრის ავტორმა თავისი კუთვნილი მასალები. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს უშუალოდ ადვოკატთან შეთანხმებით, ადვოკატისგან არ მიუღია მისი საქმის მასალები. საჩივრიდან არ იკვეთება ე. ზ.-სა და ადვოკატს ჰქონდათ თუ არა ერთმანეთთან კომუნიკაცია საქმის მასალების დაბრუნების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მასალების დაუბრუნებლობის ფაქტის დადასტურების თაობაზე.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №104/18 ადვოკატ დ. ტ.-ს მიმართ, /სიითი №..../, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/